

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2023 წლის ----- ივლისი, ქალაქი ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულებით დამტკიცებულ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავ ობიექტთა ნუსხას (დანართი 1) დაემატოს შემდეგი შინაარსის 217-223- ე პუნქტები:

№	მისამართი	ობიექტის დასახელება	საკადასტრო კოდი	ობიექტის მონაცემები	
				მიწის ფართი (კვ.მ.)	შენობის ფართი (კვ.მ.)
217	ქ. ბათუმი, ლორიას ქ. №7-ის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.27.07.021	35	—
218	ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი №16-ის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.30.06.098	6	—
219	ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №180ა-ს მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.32.31.157	298	—
220	ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი №243ბ-ს მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.32.24.632	106	—
221	ქ. ბათუმი, ქეთევან წამებულის I I ჩიხი №39-ის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.31.01.877	179	—
222	ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №5-ის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.32.11.888	54	—
223	ქ. ბათუმი, სულაბერიძის ქ. №80	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.28.61.067	33	—

ბ) განკარგულებით დამტკიცებულ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონების პრივატიზების გეგმას (დანართი 2) დაემატოს შემდეგი შინაარსის 217-223- ე პუნქტები:

№	მისამართი	ობიექტის დასახელება	საკადასტრო კოდი	ობიექტის მონაცემები		საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	აუქციონის ფორმა (უპირობო/პირობებიანი)	ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
				მიწის ფართობი (კვმ)	შენობის ფართი (კვმ)			
217	ქ. ბათუმი, ლორიას ქ. №7-ის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.27.07.021	35	—	35600	უპირობო	ხელშეკრულების გაფრთხილებიდან 15 კალენდარული დღე
218	ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი №16-ის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.30.06.098	6	—	4100	უპირობო	ხელშეკრულების გაფრთხილებიდან 15 კალენდარული დღე
219	ქ. ბათუმი, ვრიდონ ხალვაშის გამზირი №180ა-ს მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.32.31.157	298	—	84300	უპირობო	ხელშეკრულების გაფრთხილებიდან 15 კალენდარული დღე
220	ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი №243ბ-ს მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.32.24.632	106	—	55500	უპირობო	ხელშეკრულების გაფრთხილებიდან 15 კალენდარული დღე
221	ქ. ბათუმი, ქეთევან ამბულის I I ჩიხი №39-ის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.31.01.877	179	—	109700	უპირობო	ხელშეკრულების გაფრთხილებიდან 15 კალენდარული დღე
222	ქ. ბათუმი, ვრიდონ ხალვაშის გამზირი №5-ის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.32.11.888	54	—	23330	უპირობო	ხელშეკრულების გაფრთხილებიდან 15 კალენდარული დღე
223	ქ. ბათუმი, სულაბერიძის ქ. №80	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.28.61.067	33	—	27600	უპირობო	ხელშეკრულების გაფრთხილებიდან 15 კალენდარული დღე

გ) განკარგულებით დამტკიცებული, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონების პრივატიზების გეგმის (დანართი 2) პუნქტი 183-ე ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

183	ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. №37	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.21.32.023	40	—	89240	უპირობო	—	ხელშეკრულების გაფრთხილებიდან 15 კალენდარული დღე
-----	-----------------------------------	--	--------------	----	---	-------	---------	---	---

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

რამაზ ჯინჭარაძე

**გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი   ბ ა რ ა თ ი**  
**პროექტის სახელწოდება და სათაური**

**„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი**

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში შეტანა, შემდგომი მათი განკარგვის მიზნით.

საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში 183-ე პუნქტად შეტანილია ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას №37-ში არსებული 58.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ №05.21.32.022). მერიის მიერ განხორციელდა №05.21.32.022 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის კორექტირება (გაიზარდა შენობებს შორის შესასვლელი, რის გამოც შემცირდა საპრივატიზებო მიწის ნაკვეთის ფართობი), შესაბამისად შეტანილი უნდა იქნას ცვლილება ნუსხასა და გეგმაში ხსენებულ კოდეზე (პუნქტი 183). ხოლო საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში და გეგმაში შეტანილი უნდა იქნას კორექტრების შედეგად №05.21.32.022 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 40,00 კვმ მიწის ნაკვეთი. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს №008561121, 10.12.2021წ დასკვნის შესაბამისად, 58.00 კვმ მიწის ღირებულება განსაზღვრულია 129398,0 ლარად, ანუ 1 კვმ 2231,0 ლარად. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ გამოყენებული იქნას აღნიშნული შეფასება და დაყოფის შედეგად №05.21.32.023 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 40.00 კვმ მიწის ნაკვეთის საწყის საპრივატიზებო ღირებულებად საბოლოოდ განსაზღვრული იქნას  $2231 \times 40 = 89240,0$  ლარი.

ა.ბ) პროექტის არსი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში ცვლილებების შეტანა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე მითითებული ქონების პრივატიზების შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეტანილი საპრივატიზებო საფასურის სახით.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის  
მუნიციპალური ქონების და სერვისების  
მართვის სამსახურის უფროსის  
მოვალეობის შემსრულებელი**

**დავით კოპინაძე**